პროექტის მენეჯმენტის საკომუნიკაციო პარამეტრების მხარდაჭერის კრიტერიუმები და შეფასების ახალი მიდგომები

მარინა ქურდაძე
სტუ-ს პროფესორი

ანა ჯიქია
სტუ-ს ასისტენტ პროფესორი

იზოლდა ყურაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

პროექტის მენეჯმენტში საკომუნიკაციო პარამეტრებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით შემოტანილია ახალი მიდგომები, რომელიც მოიცავს რესურსების დაგეგმას, ორგანიზებასა და კონტროლს მართვის მიზნების წარმატებით მისაღწევად და პროექტის ამოცანების შესასრულებლად. გამოსაყენებელი და შესასრულებელი პროგრამა, იდენტიფიცირებულია პროგრამის მენეჯმენტთან, სადაც პროგრამა რეალურად უფრო მაღალი დონეა და დაკავშირებულია ურთიერთდამოკიდებულ პროექტების ჯგუფებთან. რაც მთელ მსოფლიოში აღიარებული მეთოდოლოგიაა ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად. ნაშრომში მოყვანილია ზოგადი მიდგომები პროექტის და საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის, სადაც კონკრეტული დავალება გარკვეული საწყისი მონაცემებით და დადგენილი შედეგებით (მიზნებით), განსაზღვრავს მისი გადაჭრის მეთოდს. ნაშრომში გათვალისწინებულია რა პროექტის ძირითადი თვისებები, რომლებიც გამომდინარეობს მისი მახასიათებლებიდან, დაყოფილია ტიპებად და ჩამოყალიბებულია ფუნქციის განაწილებისა და შესრულების შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: საკომუნიკაციო, ორგანიზება, კონტროლი, იდენტიფიცირებული, ტრანსფორმაცია.

CRITERIA FOR SUPPORTING PROJECT MANAGEMENT COMMUNICATION PARAMETERS AND NEW EVALUATION APPROACHES.

Marina Kurdadze
Professor of GTU
Anna Jikia
Assistant Professor of GTU
Isolda Kurashvili
Associate Professor of GTU

RESUME

In project management, taking into account communication parameters and criteria, new approaches are introduced, which include planning, organizing and controlling resources to successfully achieve management goals and fulfill project tasks. The program to be used and executed is identified with program management, where the program is actually a higher level and related to groups of interdependent projects. which is a globally recognized methodology for solving organizational and technical problems which is a philosophy of project management. The paper presents general approaches for effective management of projects and activities, where a specific task with certain initial data and established results (goals) determines the method of its solution. The paper considers the main features of the project, which derive from its characteristics, is divided into types, and the possibilities of function distribution and execution are established.

keywords: Communicating, organizing, controlling, identifying, transforming.

◇◇◇

ბიზნესისა და პროექტების შესაძლებლობების მართვის კლასიფიკაცია

ფინანსური ნაკადების მართვისა და აღრიცხვის ფუნქციების ავტომატიზაცია



შიდა და გარე რესურსების მართვის კავშირები, მონაცემთა ბაზის ცხრილებსა თუ ცალკეულ მოდულებს შორის.

წარმოების პროცესის დაგეგმვა, განვითარება, კონტროლი, კონკურენტული გარემოს გათვალისწინება.

რმაციული რესურსები, მართვას წარმართავს და ხელს უწყობს: სტრატეგიულ დაგეგმვას, მარკეტინგს, პროდუქტებისა და სერვისების ხარისხის კონტროლს და ა.შ. ამავდროულად, ამ პარამეტრების გათვლის ალგორითმის პროგრამული უზრუნველყოფა ისე შეიძლება ვარეგულიროთ, რომ ინფორმაციის მოცულობასთან ერთად შეიცვალოს არა მარტო მართვის ფორმა ან მდებარეობა, არამედ მისი შინაარსი. ეს ყველაფერი კი დაკავშირებულია თანამედროვე ეკონომიკაში მართვის ამოცანებისა და ფუნქციების ტრანსფორმაციასთან, ელექტრონულ ბიზნესზე გადასვლის კონტექსტში. [3] [4]

ტრადიციულ მოდელებში ინფორმაციული ტექნოლოგია არის ინფრასტრუქტურა ისეთი ელემენტებით, როგორიცაა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პერსონალი, იურიდიული მომსახურება), ფინანსური აღრიცხვა და ა.შ.(იტ)-ზე დაფუძნებული მენეჯმენტის განვითარების ეს პერიოდი დაკავშირებულია ტექნოლოგიების-ბიზნესრესურსების დაგეგმვის სისტემის განვითარებასთან (ERP-Enterprise Resource Planning), რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვის პროცესების ინტეგრირებას რეინჟინერიის მიზნებისთვის და ემსახურება- „საწყისი, მიმწოდებელ-მომხმარებლის“ ჯაჭვების აგებას. [1]

როგორც ბიზნესის, ისე პროექტების შესაძლებლობების მართვის ყველა საკომუნიკაციო სისტემა უნდა დაიყოს: ფინანსური მართვის შესაძლებლობების თვალსაზრისით, შიდა და გარე რესურსების მართვის თვალსაზრისით, წარმოების დაგეგმარების, განვითარებისა და მოგების თვალსაზრისით (კონკურენციის პირობებში) (ნახაზი 1).

ფინანსური პარამეტრების მართვის სისტემები მოიცავს ადგილობრივი და მცირე საკომუნიკაციო სისტემების ქვეკლასებს, რომლებიც განკუთვნილია ჩანაწერების შესანარჩუნებლად ერთ ან რამდენიმე სფეროში (ბუღალტრული აღრიცხვა, გაყიდვები, საწყობები, პერსონალის ჩანაწერები და ა.შ.). თითქმის ნებისმიერ რგოლს შეუძლია გამოიყენოს ამ ჯგუფის სისტემები ფინანსური ნაკადების მართვისა და აღრიცხვის ფუნქციების ავტომატიზაციისათვის.

კონკრეტული საქმიანობის ან პროექტის საჭიროებებთან ადაპტირებისას, ფინანსური და მენეჯმენტის სისტემები გამოირჩევიან საგრძნობლად დიდი მოქნილობით. საკომუნიკაციო სისტემების მოქნილი ფუნქციონირებით შესაძლებელია თითქმის მთლიანად გადაიხედოს დასამუშავებელი, მოცემული პარამეტრები-დამოუკიდებლად ან აუთსორსინგული მომსახურეობის დახმარებით, დამყარდეს კავშირები მონაცემთა ბაზის ცხრილებთან და ცალკეულ მოდულებს შორის.

არსებული და მოცემული დასამუშავებელი მონაცემების მიხედვით, ძირითადად საკომუნიკაციო შესაძლებლობების პარამეტრებს, სასურველია გამოყენება ქონდეს მართვის დაგეგმვის და კონტროლის პროცესში, რომელი პროცესის დაწყების წინაც უპირობოდ გასათვალისწინებელია ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციები, სადაც თითქმის შეუძლებელია სააღრიცხვო მოდულის გამოყოფა, რადგან ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებაში ავტომატურად მოდის სხვა მოდულებიდან. ეს ფაქტიც ერთ-ერთი გასათვალისწინებელი მიდგომაა საკომუნიკაციო სისტემების დახმარებით

მართვის ოპტიმალურად წარმართვისათვის [4]

თვითონ ბიზნესის ან პროექტის მთლიანი საქმიანობის წარმართვის, მონაცემების ციფრულად დამუშავებისა და გადაცემის სისტემები, მნიშვნელოვნად რთულია პროგრამული ინსტალაციისთვის, რადგან ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენებისთვის გამზადებულმა სისტემამ უნდა მოიცვას მთელი საქმიანობის მართვის საჭიროებები, რომელიც მოითხოვს ყველა შესაძლო საშუალებების მნიშვნელოვან ერთობლიობას და ძალისხმევას. (რესურსები, ნედლეული, დამკვეთი, მიმწოდებელი, ხელშეკრულების პირობები, თანამშრომლები, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ)

ასევე მნიშვნელოვანია თავად საქმიანობის მიმდინარეობის (პროცესის) ორგანიზების სხვადასხვა სახეობა. მაგალითად, დისკრეტული პროცესისათვის შესაძლებელია:

• ციკლური ფუნქციონირება (განმეორებები);

•შეკვეთაზე დაყრდნობით ფუნქციონირება. (დაგეგმვა მხოლოდ შეკვეთის მიღებისას; შეკვეთის შემუშავება (ინჟინერია-შეკვეთით)

• ფუნქციონირება რესურსების (მარაგის) ამოწურვამდე, შერეული რეჟიმით ფუნქციონირება (ნახაზი 2).

– საბოლოო შედეგზე რომ გავიდეთ, ნებისმიერი საქმიანობისა და პროექტის მართვისათვის გამოიყენება პროცესის ორგანიზების რამდენიმე ტიპი. რომლებიც აისახება როგორც სისტემის ფუნქციების ერთობლიობაში, ასევე ამ ტიპის წარმოების ბიზნეს მოდელებში. ჩაშენებული მოდელების არსებობა განასხვავებს პროცესების მართვის სისტემებს ერთმანეთისგან; თითოეულ მათგანს აქვს ღრმად განვითარებული სფეროები და ფუნქციები, რომელთა განვითარება ჩანასახიდანვე შეიმჩნევა ან საერთოდ არ მიმდინარეობს. [3]

ერთი კონკრეტული საქმიანობიდან გამომდინარე, საკვლევი ობიექტების მართვის საკომუნიკაციო სისტემები ყველანაირი თვალსაზრისით, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ციფრულ ფორმატში დამუშავებული და გამართული ფინანსური და მენეჯერული სისტემები, სადაც კონტროლის ძირითადი მექანიზმებია საქმიანობის პროცესის დაგეგმვა და ოპტიმალური მართვა და არა პერიოდის განმავლობაში ინვოისების რაოდენობის აღრიცხვა. მართვადი სისტემების დანერგვის ეფექტი ვლინდება მენეჯმენტის ზედა ეშელონებზე, როდესაც ჩანს სამუშაოს მთელი ურთიერთდაკავშირებული სურათი, მათ შორის დაგეგმვა, შესყიდვები, წარმოება, ინვენტარი, გაყიდვები, ფინანსური ნაკადები და მრავალი სხვა ასპექტი.

ბიზნეს პროექტების მართვის პროცესში მმართველ გუნდს ძალიან დიდ დახმარებას უწევს ყველა აქტივობის ავტომატიზაციისთვის შექმნილი ERP (Enterprise Resources Planning) სისტემის ყველა კომპონენტი (მენეჯმენტი და აღრიცხვა, დაგეგმვა და მრავალი სხვა.) მორგებულია კონკრეტულ საქმიანობაზე და იძლევა განხორციელების ევოლუციურ გზას. იგი მოიცავს მოდულურ პრინციპზე აგებულ ინდუსტრიული გადაწყვეტილებების, ინფორმაციის ნაკადის მართვის, პროექტების,ძირითადი საშუალებების, მაკონტროლებელის, ფინანსების, გაყიდვების, მასალების ნაკადის მართვას, დაგეგმილი წარმოების, ხარისხის მართვის, აღჭურვილობის მოვლა/შეკეთების და პერსონალის მართვის ქვესისტემებს.



მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მთავარი უპირატესობა ალტერნატიული საინფორმაციო არხების აღმოფხვრაა, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას სწრაფი და ადეკვატური ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ. ნაკლოვანებებიც საკმაოდ არის.მაგალითად - მოდულების დაყენების სირთულე, ორგანიზაციისა და საქმიანობის კულტურისადმი მაღალი მოთხოვნები, რეინჟინერიის კონსერვატიზმი სტრუქტურული ცვლილებების პირობებში და მრავალი ისეთი გაუთვალისწინებელი მინუსები, რომელიც საერთო ჯამში ეტაპობრივად-კვანძიდან კვანძამდე დროითი პარამეტრების გამოყენების მიხედვით აღმოსაფხვრელია. მთლიანობაში თუ ჩაიშლება გასათვალისწინებელი მინუსები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვესისტემის სახით ადმინისტრატორის მოდული, რომელშიც შევა და სათანადო მოთხოვნის მიხედვით გამოიყენება :„ბიუჯეტის ანალიზი“, „ბიუჯეტები“, „ძირითადი წიგნი“, „საბანკო ოპერაციების აღრიცხვა“, „მოვალეებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა“, „ნაღდი ოპერაციების აღრიცხვა“, „ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა“, „ტექნოლოგიური მომზადება“, „ტექნიკური და ეკონომიკური დაგეგმვა“, „ ხარჯების აღრიცხვა“, „შესყიდვები“, „ინვენტარი“, „გაყიდვები“, „ხელფასები“, „პერსონალის აღრიცხვა“, „საშტატო დაკომპლექტება“, „ძირითადი საშუალებები და აღჭურვილობა“.[2]

კომპლექსური კონფიგურაციის მიხედვით მიდგომები მოგვცემს საშუალებას, რომ პროექტის ან სხავა საქმიანობის მართვა წარიმართოს ერთი კონკრეტული კვანძთაშორისი კავშირით და იმ არიალში განხილული და დაბალანსებული იყოს ყველა შესაძლო შესასარულებელი ვარიანტები, რომელიც საერთო ჯამში გაგვიყვანს საბოლოო შედეგზე, მაგალირთად ასეთი მიდგომით სისტემა საშუალებას იძლევა ერთდროულად რამოდენიმე მონაცემი დამუშავდეს, როგორც მენეჯერული, ისე ფინანსური. მაგალითად შესრულდება მენეჯმენტის აღრიცხვის მიზანი კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გენერირების თვალსაზრისით შიდა გამოყენებისთვის და ფინანსური აღრიცხვის მიზანი, ყველა ფირმის საქმიანობის გათვალისწინებით, რომლებიც ქმნიან კომპანიას ბუღალტრულ აღრიცხვაში.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ნაშრომში მოყვანილი საკომუნიკაციო პარამეტრებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით შემოტანილია ახალი მიდგომები, რომელიც მოიცავს ბიზნეს პროექტების ორგანიზებასა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მონიტორინგის მოქნილ მექანიზმებს. პროგრამული მიდგომა სხვადასახვა პარამეტრების ცვალებადობის მიუხედავად იდენტიფიცირებულია პროგრამის მენეჯმენტთან, სადაც რეალურად უფრო კვალიფიციურად მიმდინარეობს კავშირი ურთიერთდამოკიდებულ პროექტების ჯგუფებთან. ეს მიდგომები დაეხმარება დაინტერესებულთა იმ კატეგორიას, რომელნიც იქნებიან მზად პროექტის ძირითადი საკვანძო საკითხების და საქმიანობის ეფექტიანად წარსამართავად. კონკრეტული დავალებებისათვის გარკვეული საწყისი მონაცემები და მისაღწევი შედეგები განისაზღვრება მეთოდით, რომელიც იმ კონკრეტული საქმის გადაწყვეტის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кузнецов А.А. Процессное управление проектами на предприятии // Менеджмент сегодня. 2011. № 4. С. 206–212.
2. Стеллман Э. Постигая Agile. Ценности, принципы, методологии / Э. Стеллман, Дж. Грин; пер. с англ. С. Пасерба. М.: Манн, Иванов и Фербер, 2017. 448 с.
3. Топ-7 методов управления проектами: Agile, Scrum, Kanban, PRINCE2 и другие [Электронный ресурс]. 2016. 8 июля. URL: https://www.pmservices.ru/ pro-ject-management-news/top-7-metodov-upravleniya-proektami-agile-scrum-kanban-prince2-i-drugie/ (дата обращения: 04.09.2023).
4. Стандарты управления проектами [Электрон. ресурс]. URL: https://pmpractice.ru/ knowledgebase/normative/projectstandarts/ (дата обращения: 11.09.2023).